ტელეფ. 6-60 წელიწადი 1914 მეოთხე ტელეფ. 6-60

ორშაბათი, 20 იანვარი, № 159

# თემი

ორშაბათი, 20 იანვარი, № 159

ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კ., ნახევარი წლით—1 მ. და 25 კაპ., 1 თვით 25 კაპ.

თითო ნომერი 5 კაპ.

განცხადებათა ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 15 კ. უკანასკნელ გვერდზე—10 კაპ. ტექსტის შუაგულს—20 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების ერთხელ დაბეჭდვა—3 მან.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

დაწუნებულ წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია ინახავს მხოლოდ ორი კვირის განმავლობაში. პასუხისათვის საჭიროა ფოსტის მარკები, რედაქტორის ნახვა შეიძლება ყოველ-დღე კვირა-უქმების გარდა 10 საათიდან 1 საათამდის რედაქციაში Ольгинская, 4 д. Діасамидзе, ხელისმოწერა და განცხადებანი მიიღება, აქვე კვირა- უქმე დღეებს გარდა.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. გამოდის ორშაბათობით

ქართული თეატრი

კვირას, 26 იანვარს

კონსტანტინე დიმიტრის-ძის ყიფიანის

## იუბილე

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.

საიუბილეო კომიტეტი.

მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისთვის

წელიწადი მეოთხე

## „თემი“

წელიწადი მეოთხე

წლიურნი ხელის მომწერელნი მიიღებენ 2 საჩუქარს: 1) წიგნს, სადაც მოთავსებული იქნება აკაკის პოემა „რაჭა-ლეჩხუმი“, რაჭა-ლეჩხუმში მისი მოგზაურობის ამბავი, წარმოთქმული სიტყვები და ამ კუთხის რუკა (ქარტა); 2) ნიკ. ალ. დუბროვსკის თხზულებას „ავგუსტ ბებელი“, რომელიც საკუთრად „თემისათვის“ არის დაწერილი.

ხელისმოწერა მიიღება „თემის“ რედაქციაში (ოლგას ქ., სახ. დიასამიძისა, № 4) ფასი გაზეთისა: წლიურად—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., ერთი თვით—25 კაპ. კონტორა ღიაა ყოველდღე დილის 10 საათიდან 1 საათამდე.

ადრესის გამოცვლა თბილისს გარეშე—40 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Ольгинская 4. д, Діасамидзе, редакція газ. „Теми“

სახაზინო თეატრი

ტელეფონი № 7-95. წარმოდგენა № 57—8.

საოპერო ამხანაგობა ი. პ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით

პარასკევს, 24 იანვარს 1914 წ.

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ

მეშვიდედ წარმოდგ. იქნება ახალი ორიგინალური პიესა ი. გედევანიშვილისა

## სინათლე

ზღაპარი-ფეერია 3 მოქმ. და 7 სურათად.

რადგან ამ პიესის ნახვის მსურველი მრავალია და ქართული თეატრი საკმაო რიცხვს საზოგადოებისას ვერ იტევს, ამიტომ პიესა წარმოდგ. იქნება სახაზინო თეატრში.

ბილეთები ამ თავითვე იყიდება სახაზინო თეატრის კასაში.

მონაწილეობას მიიღებენ: მთელი დასი, სახაზინო თეატრის ორკესტრი ზ. პ. ფალიაშვილის ლოტბარობით, ფილარმონიული საზოგადოების მომღერალთა გუნდი. მუსიკა ზ. პ. ფალიაშვილისა და ნ ყარაშვილისა. ბალეტი ოვერლოს ხელმძღვანელობით. მეოთხე სურათში ჩამატებულია ეშმაკთა ცეკვა.

დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე

ადგილების ფასი ჩვეულებრივია (საოპერო).

რეჟისორი ვალ. შალიკაშვილი.

მზადდება წარმოსადგენად: „დონ კარლოსი“, „ისმინე ისრაილ“, „შენი ჭირიმე“, „ამოცანა“ და სხ.

ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგადოებისა.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 23 იანვარს 1914 წ.

ქართული დრამატ. დასის მიერ ვ. აბაშიძის და გ. გედევანოვის მონაწილეობით

ალ. ჩარქვიანიშვილის საბენეფისოდ

წარმოდგენილი იქნება:

I

პირველად ქართულ სცენაზედ ახალი ორიგინალური პიესა

## ბედნიერი დღე

კომედია 3 მოქმ. პ. ირეთელისა.

II

## ხანუმა

მე-2-რე და მე-4-ხე მოქმ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ასათიანი, მდივანი, პიერეტა, შოთაძე, ჩერქეზიშვილი და ჯავახიშვილი. ბ-ნნი: აბაშიძე, არადელი-იმხნელი, ბარველი, გომელაური, გუნია, გედევანოვი, ზარდალიშვილი, თარალაშვილი, იმედაშვილი, მესხი, სარაული, ურუშაძე, შანშიაშვილი, ციციშვილი, ხონელი და სხვ.

ანტრაქტებში დაუკრავს საზანდარი. ადგილების ფასი საბენეფისოა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე

რეჟისორი ვ. შალიკაშვილი

ანონსი: მზადდება წარმოსადგენად: „დონ კარლოსი“, „ისმინე ისრაილ“, შენი ჭირიმე“, „ამოცანა“ და სხვ.

ადმ. ქართ. დრამატ. საზოგადოებისა.

ა. ს. ზედგინიძის მაღაზიაში

(თამამშაანთ ქარვასლა)

პირველად თბილისში, ახალს მაღაზიაში გადასვლის გამო, დანიშნულია

## იაფი ვაჭრობა

მხოლოდ ერთის კვირით 20, 21, 22, 23, 24 და 25 იანვარს ამა 1914 წელს.

27 იანვრიდან კი დაიწყება ჩვეულებრივი ვაჭრობა ახალ მაღაზიაში, ერევნის მოედნის კუთხეში.

პატივისცემით ა. ს. ზედგინიძე.

სავაჭრო სახლის

## ძმ. ა. და ა. მილოვეზი

მაღაზია

გოლოვინის პროსპ., კადეტის კორპუსის პირდაპირ

წარსულ წლების მიხედვით, მხოლოდ ერთხელ წელიწადში! დანიშნულია 7 დღის განმავლობაში: იანვრის 18—20—21—22—23—24—25

## ნაჭრების დიდი გაყიდვა

აგრეთვე ყველა სავაჭროსი, რომელიც დარჩა ზამთრის სეზონიდან

## დიდი დათმობით

აბრეშუმეულობა, შალეულობა, მაუდეულობა, ტილოეულობა და ბამბეულობა.

სუფრები, საბნები, პლედები, პორტიერები და ტიული. მაუდის საქონელი ინგლისის და რუსეთის ფირმებისა.

იაფი ვაჭრობის დღეებში მაღაზია დაკეტილი იქნება სადილობის დროს ნაშუადღევის $2^1/_2$ საათიდან 4 საათამდე.

„თემი“-ს რედაქციის გამოცემა.

ს. ამაშუკელის ლექსთა კრებული

## „მზის სიცილი“

ავტორის სურათით და ბ. ივანე გომართელის წერილით.

ფასი 50 კაპ.

ვინც გამოიწერს ფას-დადებით არა ნაკლებ 10 ცალისა, მას დაეთმობა 25 %, საკომისიო—20 %.

მისამართი: გაზ. „თემი“-ს კონტორა.

ახალი კლუბი

საზამთრო შენობა

ორშაბათს, 20 იანვარს, და ოთხშაბათს, 22 იანვარს 1914 წ.

## სინემატოგრაფის საშუალებით

აჩვენებენ საინტერესო სურათებს. ✦ „ახალი კლუბის“ სიმებიანი ორკესტრი დაუკრავს სხვადასხვა მუსიკალურ პიესებს.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე

ახალი კლუბი

საზამთრო შენობა

პარასკევს, 24 იანვარს 1914 წ.

ჩვეულებრივი

## სინემატოგრაფიული სურათები

მუსიკალურ პიესებს დაუკრავს ორკესტრი.

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე.

## თბილისი, 20 იანვარი.

ყველა ჩვენი საზოგადო საქმის გულ-შემატკივარი, რომელიც კი უკვირდება ჩვენს პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას, უეჭველია, შენიშნავდა, რომ ჩვენში არსებულ პარტიებსა და ჯგუფებში დიდი შეხლა-შეტაკებაა ამ ჟამად აზროვნებისა და მახლობელ პროგრამის შემუშავების მხრით.

ეს ასეც უნდა ყოფილიყო. ყოველი პარტია, ყოველი საზოგადოებრივი ჯგუფი, თუ ხელმძღვანელობას კისრულობს, იგი უნდა უფარდებდეს თავის მოქმედებას ცხოვრების მიმდინარეობას და არ მისდევდეს მხოლოდ ერთხელვე მიღებულ რომელსამე დოქტრინას.

შორსმჭვრეტ და მახვილ გონების პატრონს, რომელიმე პარტიის ან ჯგუფის წევრს, არ შეეძლო არ შეენიშნა ის სამწუხარო მოვლენა, რომ ერთად-ერთი საკითხი, რომელიც ყველას გარკვეული უნდა გვქონოდა და ერთხელვე მიღებული სახელმძღვანელოდ, გვყოფს და გვაცალკევებს ხშირად ერთი სოციალურ იდეალის ალმსარებელთ. არ შეეძლო არ დაენახა, რომ საქართველო, მისი სამშობლო ქვეყანა, განიცდის ეს ერთი ხანია დიდ ავადმყოფობას, რომელსაც მკურნალი სჭირია თავის უებარი წამლით. ამ დროს დიდი ამოძრავებაა საჭირო აზროვნებისა, თუ გვსურს, რომ ჩვენმა ერმა ძველებურად ერობა გასწიოს და თავის ისტორიულ-კულტურული დანიშნულება შეასრულოს.

როგორ შეიძლება, რომ ამ დროს ყოველმა პარტიამ, ყოველმა ჯგუფმა არ გაუწიოს ანგარიში აწინდელ მდგომარეობას ჩვენი ერისას? ერი, რომელსაც თავის ტერიტორია ჰქონდა, თუ ეს საძველი ფეხ-ქვეშ გამოეცლება, პირდაპირ აღიგვება დედა-მიწის ზურგიდან. ჩვენი ეროვნების აყვავება და ზრდა პირდაპირ დაკავშირებულია ძველთაგან გადმონაცემ ჩვენი ტერიტორიის შენარჩუნებასთან, სადაც კი ქართველობა მოსახლეობს.

ყოველ ჩვენს პარტიას უნდა ჰქონდეს უკვე ცხადად გამორკვეული ამ საგანზე თავის შეხედულება და ამის შესაფერად თავის სამკურნალო საშუალება გამოძებნილი.

კასაკვირალი არ არის, რომ ამ ჟამად ამ საგანზე მიქცეულია დიდი ყურადღება ჩვენი ხალხის შეგნებული ელემენტებისა.

ამისდაგვარად ისახება ახალი ჯგუფები, იცვლება ზოგიერთ პარტიების წინანდელი გამოსახულება.

ეს არ უნდა გვაშინებდეს. პირ-იქით ჩვენ უნდა ვუწყობდეთ ხელს ყოველ ოდნავ გამოჩეკილ ახალ ჯგუფს ჩამოყალიბებაში, ოღონდ კი ის პროგრესს არ ჰღალატობდეს.

ამ მხრით ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ დიდი მოძრაობაა ამ ხანად ეგრედ წოდებულ ჩვენს ზომიერ-საზოგადოებრივ ელემენტების წრეებში. საზოგადოდ უნდა აღვიაროთ ის უცნაური მოვლენა, რომ ამ ელემენტებს აქამდის ვერ მოეწყოთ ჯეროვანად თავიანთ შეჯგუფების საქმე. მათი დაქსაქსვა უტყუარი ფაქტი იყო აქამდინ მაინც. ახლა ეს ელემენტები ამოძრავდენ. გამოდიან იმ პარტიებიდან და იმ ჯგუფებიდან, რომელშიაც აქამდე იმყოფებოდენ. მათ დაეტყოთ შესამჩნევი ცვლილება და ეს უკანასკნელი გამოისახა უპირველეს ყოვლისა ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში.

ჟურნალ „კლდის“ თანამოაზრეთა გამოყოფა „სახალხო გაზეთის“ წრიდან მეტად თვალსაჩინო და საყურადღებო მოვლენაა, რომ არ აღვნიშნოთ იგი. ჩვენის აზრით ამ ყმაწვილკაცობის პირდაპირი, ნიღაბ-ჩამოუფარებელი, გამოსვლა სწორედ მოსაწონია. ყოველი საზოგადოებრივი ჯგუფი მაშინ არის პატივსაცემი, როცა ის წრფელად აღიარებს თავის რწმენას და არ თვალთმაქცობს.

ჩვენ ამას გულახდილად აღვიარებთ. ხშირად მოგვსვლია შეტაკება „კლდეელებთან“, უეჭველია, შემდეგშიაც მოგვივა, მაგრამ, რაც ცხადია და უტყუარი, იმის დამალვა შეუძლებელია.

ჩვენი საზოგადო ცხოვრების მეთვალყურე შეამჩნევდა იმასაც, რომ „კლდისა“ და „ზაკავკაზსკაია რეჩის“ ჯგუფებს რაღაც გაერთიანება დაეტყო. წინად თუ ბელოვნურად გაყოფილნი იყვენ თავად-აზნაურობის საქმეთა მიმართულებისა გამო, ახლა, სამაგიეროდ, გამოდიან ისინი ერთად ზოგიერთ საზოგადო საკითხების გადაწყვეტის დროს. ეს ასე ხდება ყოველთვის, როდესაც მონათესავე ჯგუფები საპირადო ბრძოლას და კინკლაობას თავს ანებებენ და საკითხებს იხილავენ პრინციპიალურად.

მაგრამ „კლდე“ და „ზაკავკაზსკაია რეჩი“ არ არიან მარტოკა. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ მათ ზოგი ცხადად, ზოგი ფარულად თანაუგრძნობენ სხვა ბანაკებიდანაც. მათი მომხრეები, უეჭველია, მოიძებნებიან „ერის“ და „სახალხო გაზეთის“ წრეებშიაც. უეჭველია აგრეთვე ყველა ამ ზომიერ ელემენტების გაერთიანება როდისმე მოხდება. ამისათვის საჭირო მხოლოდ მათი შეთანხმება. ეჭვს გარეშეა, ბოლოს და ბოლოს „ზაკავკაზსკაია რეჩს“ და „კლდეს“ მოეპობა ის „თავადაზნაურული“ მიდრეკილება, რომელიც გამოსჭვივის ხოლმე ზოგჯერ ამ ორგანოებში დასტამბულ სახელმძღვანელო წერილებში. ცხოვრება დაანახვებს მათ, რომ ცხოველმყოფელი ძალები ამ ჟამად ამ „მოწინავე წოდების“ გარეშე უფრო მოიძებნება. ამ ძალებს დასჭირდებათ შეკავშირება და ხელმძღვანელი და, სწორედ ამ ორგანოებში მოკალათებული ჯგუფები იკისრებენ ამ საზოგადო საქმეს.

ამის შემდეგ, რასაკვირველია, ჭეშმარიტი დემოკრატია ნამდვილ სახეს მიიღებს. ჩვენის აზრით, ორივე მიმართულება გაერთიანდება **პრაქტიკულ საქმიანობის** სარბიელზე მაინც.

არ შეიძლება, რომ პირველმა ჭეშმარიტ-დემოკრატიულმა პარტიამ მეორესავით არ შეითვისოს იდეა ფედერალიზმისა, რადგანაც ეროვნული საკითხის საბოლოო გადაწყვეტა მხოლოდ ამ სახით შეიძლება. ერთხელ კიდეც გვქონდა მოყვანილი ნაწყვეტი 1905 წლის რუსულ გაზ. „ნაჩალოდან“, სადაც პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ ეროვნული საკითხი მხოლოდ ამ გზით გადაწყდება უმტკივნეულად. ამას ჰმოწმობს აგრეთვე ისიც, რომ ამ პარტიაში ხმას იმაღლებს ისეთი ელემენტი, რომელიც აქამდინ მდუმარებდა ეროვნულ საკითხის შესახებ. ქუთაისის ამ მიმართულების გაზეთმა ამას წინად **პირველად** საჯაროდ აღიარა, რომ ამ მიმართულების ხალხი იმყოფება მათ წრეში. თვით იმისთანა თვალსაჩინო პიროვნების გამორკვევა ეროვნულ საკითხში, როგორიც არის ივ. გომართელი, ბევრ რამეს ჰგულისხმობს.

სამაგიეროდ მეორე ჭეშმარიტ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც ეს საკითხი კარგა ხანია გამორკვეული აქვს, მოიშორებს თავიდან იმისთანა ელემენტებს, რომელნიც სრულებით არ თანაუგრძნობენ მას სოციალურ საკითხების გადაწყვეტაში.

ამ გვარად ამ ორ ჭეშმარიტ-დემოკრატიულ პარტიების ხელმძღვანელნი დაინახვენ ცხადლივ გაერთიანების საჭიროებას. განსხვავება თუ იქნება მათ შორის ეს მხოლოდ ფილოსოფიურ მსოფლ-მხედველობის მხრით.

დიდი უნარიანობა არ არის საჭირო და არც წინასწარმეტყველება, აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ახლანდელ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ პარტია — ჯგუფების ევოლიუცია ამ გზით მიიმართება.

ეს გზა, ჩვენის აზრით, ერთად-ერთია, რომელიც გაიყვანს ჩვენს ერს პირდაპირ **სინათლის ქვეყანაში...**

# ახალი ამბები

26 იანვარს, როგორც უკვე უწყიან ჩვენმა მკითხველებმა, ქართულ თეატრში იმართება ცნობილ მსახიობ კოტე ყიფიანის სასცენო მოღვაწეობის 45 წლისთავის დღესასწაული. დიდი მზადებაა

— —

გიორგი წერეთლის ქვრივმა ქ.-ბ. ანასტასიამ მიიღო ოდესიდან შემდეგი შინაარსის დეპეშა: „ვდღესასწაულობთ ჩვენც, ოდესაში მყოფი ქართველი მოწაფეები, ქართველ დემოკრატიის ერთ მედგარ მეგობართაგანის გიორგი წერეთლის ძეგლის კურთხევას. ვულოცავთ სამშობლო ხალხს ამ სახელოვან ზეიმს; დაე ამ ძეგლმა მუდამ ასაზრდოოს გრძნობა მოწიწება-პატივისცემისა დაუვიწყარ მუშაკის ნათელი ხსოვნის წინაშე“.

— —

პარასკევს, 17 იანვარს, საღამოს, სადეპუტატო საკრებულოში ჰქონდა სხდომა იმ კომისიას, რომელსაც სათავად-აზნაურო კრებისაგან მინდობილი აქვს პოეტ გრიგოლ ორბელიანის ძეგლის დადგმის საქმის მოწყობა თბილისში საჯარო ადგილას. კომისიამ თავმჯდომარედ აირჩია ნიკ. ივ. არჯევანიძე. კომისიას აზრად აქვს შეამუშავებინოს მხატვრებს და მოქანდაკეებს იმისთანა ძეგლის გეგმა, რომელშიაც უნდა გამოსჭვიოდეს ხსენებულ ქართველი მწერლის შემოქმედების დამახასიათებელი თვისება. ძეგლის დადგმა განზრახულია ალექსანდრეს ბაღის საუკეთესო ადგილზე. ამ ჟამად შეგროვებულია 4.000 მანეთამდე. ძეგლის გეგმის შემუშავების დროს მოწვეული იქნებიან ჩვენი ლიტერატორები, მხატვარნი და მოქანდაკენი.

— —

შესრულდა სწორედ 20 წელიწადი, რაც ჩვენი ცნობილი ბელეტრისტი ია ეკალაძე (იაკობ ცინცაძე) გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. ამ მოკლე ხანში ჩვენ დავსტამბავთ ამის შესახებ წერილს.

— —

## გიორგი წერეთელი და მისი შვილი კაკი





გ. წერეთელი დაიბადა 1842 წ. იგი იყო, როგორც სამართლიანად ჰბრძანებს გ. თუმანიშვილი თავის მოგონებათა წიგნში, პირველი ქართველი პროფესიონალური ჟურნალისტი. როდესაც ქართველ ახალგაზრდათა წრემ დაარსა 1866 წ. „დროება“, რედაქტორად იმ დროს პეტერბურგიდან დაბრუნებული გ. წერეთელი მიიწვიეს. შემდეგ მან გამოსცა „სასოფლო გაზეთი“, 1871 წ.-კი — ჟურნალი „კრებული“, რომელმაც დიდი გავლენა მოიპოვა.

რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს იგი იყო პეტერბურგის გაზეთ „გოლოსის“ კორესპონდენტად.

შემდეგ თანამშრომლობდა „ივერიაში“, „თბ. ვესტნიკში“, „ნობათში“, „ნოვოე ობოზრენიეში“, „კავკაზში“, „ჯეჯილში“. მას აინტერესებდა არქეოლოგიური და ისტორიული მუშაობაც.

ბოლოს მან თავი ისახელა როგორც „კვალის“ ხელმძღვანელმა, რადგანაც გზა გაუხსნა ახალ მიმართულებას — „მესამედასელობას“, ე. ი. ქართველ მარქსისტებს.

ერთ დროს — 1866 წ. — გ. წერეთელი მასწავლებლობდა ყიფიანის პანსიონში. ყოფილი მისი მოწაფე გ. თუმანიშვილი ახასიათებს მას როგორც კეთილ და შესანიშნავ აღმზრდელს. მისი გავლენის ქვეშ მოწაფეებმა ხელნაწერი ქართული გაზეთი დაიარსეს და ქართულ წარმოდგენების მართვა დაიწყეს.

გ. წერეთელი მუდამ პროგრესისტი იყო. იგი ურჩევდა თავად-აზნაურობას 1871 წელს, როცა ალექსანდრე მეორე მოვიდა თბილისს, უნივერსიტეტი ეთხოვა, მაგრამ ძველმა თაობამ მოითხოვა კადეტის კორპუსი.

გ. წერეთელი ორჯერ იყო დაქორწინებული: პირველი მისი მეუღლე იყო ნიკო ნიკოლაძის და, რომელიც უდროოდ გარდაიცვალა: თავის შვილები: ელენე, ლევანი და ირაკლი (კაკი) სულ პატარები დასტოვა. მეორედ გ. წერეთელმა შეირთო ჩვენი ცნობილი მოღვაწე — ქალი, „ჯეჯილის“ რედაქტორი, ან. თუმანიშვილი-წერეთლისა, და — გ. თუმანიშვილისა და ასული პოეტ მიხეილ ბირთველიძის თუმანიშვილისა. გ. წერეთლის შვილებს გამოჰყვა სიყვარული ქართულ ლიტერატურისადმი. ისინი თანამშრომლობდენ „კვალსა“ და „ჯეჯილში“. კაკის ერთ ერთ ნაწარმოებს დღეს ვბეჭდავთ ჩვენს გაზეთში. ამ მისმა შვილმა ხომ დიდად ისახელა თავი როგორც მეორე სათათბიროს ს.-დემოკრატიულ ფრაქციის დეპუტატმა. მტრებმაც კი პატივისცემით მოიხსენიეს. ამ ჟამად იგი კატორღის ვადის გათავების შემდეგ დასახლებულია ციმბირში ქ. ბალაგანსკს ირკუტსკის გუბერნიაში. დღეს ვბეჭდავთ მის უკანასკნელ სურათსაც.

ჩვენ მივიღეთ ქუთაისიდან სოფიო პეტრეს-ასულის ეპიტაშვილისაგან 1 მ. და მარიამ სოლომონის-ასულის ელიოზიშვილისაგან (თბილისი) — 2 მან. ქვრივ ნინო ხელაშვილისათვის გარდასაცემად. ამ ოჯახის უმწეო მდგომარეობა წარსულ ნომერში გვქონდა მოხსენებული.

— —

ბ. არტურ ლეისტი წერილით გვატყობინებს, რომ ილია ჭავჭავაძის ქვრივი პატივცემული ოლგა თადეოზის-ასული ამ ჟამად კარგად გამხდარა. ყველა ქართული საქმეებით დაინტერესებულია. იგი სცხოვრობს მთაწმინდის ქუჩაზე ქიქოძის სახლებში.

სასურველია ჩვენმა რედაქციებმა უგზავნონ მას თვისი გამოცემანი. კარგს ინებებს მიხ. გედევანიშვილი, თუ აახლებს მისი წარჩინებული მეუღლის თხზულებათა კრებულს.

— —

„თემის“ წარსული წლის 16 დეკემბრის ნომერში (№ 154) დაბეჭდილი იყო **ტ. ტაბიძის** ლექსი სათაურით „მხატვრის დაწყევლა“, რომელსაც შეცდომით ჰქონდა მიწერილი „თევდორე სოლოგუბიდან“. ეს ლექსი **საკუთარი** ნაწარმოებია ტ. ტაბიძისა.

ალექსი აკაკის-ძეს წერეთელს ამ ჟამდ აქვს მოლაპარაკება „ახალ კლუბთან“ და ქართულ თეატრის გამგეობასთან თბილისში კინეტოფონის მოწყობის მონოპოლიის შეძენის შესახებ. ეს კინეტოფონი გამოჩენილ ედისონის უკანასკნელი გამოგონებაა და წარმოადგენს მომღერალ და მოლაპარაკე კინემატოგრაფს — იმიტაცია ნამდვილი წარმოდგენებისა.

## სამედიატორო სასამართლოს განაჩენი

**გელოვანის და გეგეჭკორის საქმის შესახებ.**

გაზეთ „დენში“ დაბეჭდილია (11 იანვრის №-ში): „ჯერ კიდევ 1912 წელს ჩაისვარდა უკმაყოფილება მესამე სათათბიროს ყოფილ წევრსა ე. გეგეჭკორსა და მეოთხე სათათბიროს წევრს ვ. გელოვანს შორის ქუთაისის გუბერნიაში მომხდარ არჩევნების გამო, როცა გააშავეს გეგეჭკორი და აირჩიეს გელოვანი.

გეგეჭკორი აბრალებდა გელოვანსა და სოც.-ფედერალისტების პარტიას რამდენსამე შეუწყნარებელს მოქმედებას, რომელიც მიმართული იყო გეგეჭკორის გასაშავებლად.

ეს უკმაყოფილება თანდათან გაიზარდა და მას მოჰყვა კონფლიქტი შრომის ჯგუფსა და სოციალ-ფედერალისტებსა და სოციალ-დემოკრატიულს პარტიის შორის, ვინაიდან გელოვანი იყო სოც.-ფედერალისტების წარმომადგენელი, ხოლო გეგეჭკორი — სოციალ-დემოკრატებისა.

კონფლიქტის მოსასპობად და საქმის გამოსარკვევად სოც.-დემორატიულმა პარტიამ მიმართა შრომის ჯგუფს და წერილით გამოიწვია სამართალში. შრომის ჯგუფი დაეთანხმა და მოსამართლეებად აირჩია ნაფიცი ვექილი მ. ვ. ბერენშტამი და ვ. ვ. ვოდოვოზოვი, ხოლო სოც.-დემოკრატებმა დანიშნეს მოსამართლეებად ვ. ნ. კროხმალი და ა. ნ. პოტრესოვი. სამართლოს თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა დ. ნ. ოვსიანიკო-კულიკოვსკი.

სასამართლომ განიხილა საქმის ყველა გარემოება, მოუსმინა დაინტერესებულ მხარეებს და დაადგინა: გეგეჭკორს არ ჰქონდა უფლება განეცხადებია, რომ უკანასკნელ არჩევნების დროს სოც.-ფედერალისტები მოქმედებდენ სრულად შეერთებულნი და შეკავშირებულნი ადმინისტრაციასთან; და მიიღო რა მხედველობაში: ა) რომ რიცხვი ამომრჩეველებისა და მათი განაწილება პარტიებს შორის (18 კაცმა და არა 17 მისცა თეთრი კენჭი გელოვანს და 15-მა შავი, რომელთაგან მხოლოდ 12 იყო აშკარა მომხრე სოც.-დემოკრატების კანდიდატისა, სამი კი უპარტიო იყო და ესენი, შეიძლება, ისევე მოწინააღმდეგენი ყოფილიყვენ სოციალ-დემოკრატისა, როგორც იყვნენ წინააღმდეგნი სოც.-ფედერალისტის) გადაჭრით არ გვიჩვენებს, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა არჩევნებს, რომ ადმინისტრაციას 5 კაცი არ გამოერიცხა ამომრჩეველთა რიცხვიდან, ბ) რომ სოც.-ფედერალისტების მიერ არჩევნების დროს ჩადენილი უმართებულობანი არაა იმდენად დიდი, რომ შეეძლოთ ჩირქი მოსცხონ მათი წარმომადგენლის არჩევნის სისწორეს, — სასამართლო ვერა ჰპოულობს საფუძველს გელოვანის არჩევის გასაბათილებლად.

ამას სასამართლო დასძენს, რომ მას მხედველობაში აქვს ის მეტად შედარებითი სისწორე არჩევნებისა, რომელიც კი შესაძლებელია 3 ივნისის კანონის მოქმედებისა და იმ ადმინისტრატიული თვითნებობის დროს, რომელიც არსებობდა 1912 წლის არჩევნებზე როგორც მთელს რუსეთში, ისე კერძოდ ქუთაისის გუბერნიაში, სასამართლო აღნიშნავს იმ გასაკუთრებულ შემთხვევასაც, რომ დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი არჩეულ იქმნა უმთავრესად მსხვილი და წვრილი მიწის მფლობელებისაგან და მის წინააღმდეგ იყვნენ უმთავრესად გლეხთა და ქალაქის ამომრჩევლები (ამას თანავე ხუთი სოც.-დემ. ამომრჩეველი გამორიცხული იყო ადმინისტრაციის მიერ), მაგრამ სასამართლოს არ განუხილავს ეს საგანი, ვინაიდან ამისთვის საჭირო იყო ქუთაისის გუბერნიის პარტიების პროგრამისა და ტაქტიკის და აგრეთვე მცხოვრებთა სოციალურ შედგენილობის განხილვა, რაიც არ შეადგენდა ხსენებულ სასამართლოს კომპეტენციას“.

—

ამავე განაჩენის შესახებ გაზეთს „რუს. ვედ.“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: „საქმის გარჩევის დროს სასამართლომ დაინახა, რომ საერთო კილო და ხასიათი პოლემიკისა მოპირდაპირე მხარეებს შორის ყოვლად შეუფერებელია და ერთნიც და მეორენიც ცილსა სწამებდნენ როგორც მოწინააღმდეგე პარტიის კერძო პირებს, ისე მთელს პარტიას. სასამართლომ ერთხმად დაადგინა გამოეცხოს ასეთი საშუალება საარჩევნო ბრძოლისა“.

(„სახ. გაზ.“)

# ორი შვილი

(იმერული ლეგენდა)

I

ქაჯთა მეფის ბრძანებითა
მაღალ კოშკში დამწყვდეული,
დღის სინათლეს ვერ ხედავდა
დედოფალი ტყვედ ქცეული.

—

ერთ დროს ამაყ მზეთუნახავს
აღარ ჰყავდა ჯარი მცველი,
და არ ჩანდა ქვეყნად გმირი
იმის მტრისგან გამომხსნელი...

—

თურმე წინად, სანამ ასე
შეეცვალა მას იღბალი,
დიდებით და სილამაზით
მას არ ჰყავდა სოფლად ცალი;

—

მთელ ქვეყანას კიდით-კიდე
მოჰფენოდა მისი ქება,
და ბევრ მეფეს მონდომია
მისი ძალით დამონება;

—

მაგრამ ტურფა მზეთუნახავს
რომ ნახავდენ განსაცდელში,
მომავალ მტერს მისი მცველნი
უხვდებოდენ ხმლებით ხელში;

—

და სანამდის სული ედგათ,
იფარავდენ თავის მკერდით,
მტერს უკანვე აბრუნებდენ,
გატაცებულს გიჟი ვნებით...

—

უცებ ბედი შეიცვალა
და დაბნელდა დედოფლის მზე,
მისი მცველნი, ყველა ერთად,
დაიხოცნენ ბრძოლის ველზე.

—

მაშინ მძლავრმა ქაჯთა მეფემ
ის ჩაჰკეტა მაღალ კოშკში,
და წაართვა რაც კი ნახა
იმის მდიდარ სამეფოში.

—

თვალ-მარგალიტს, ბროლ-იაგუნდს
თვლა და რიცხვი აღარ ჰქონდა.
და ძლიერ მტერს, გამარჯვებულს,
ეს სიმდიდრე თან მიჰქონდა;

—

მაგრამ შესცდა ქაჯთა მეფე,
აერია გზა და კვალი,
და ვერ მიხვდა, რა სიმდიდრით
ამაყობდა დედოფალი:

—

ყველა თვლებზე უძვირფასეს
მან საუნჯეს ვერ შეხედა, —
ორი შვილით, ორი ნორჩით
ამაყობდა მხოლოდ დედა!

—

და როდესაც ეს საუნჯე
არ წაართვეს ტყვე დედოფალს,
დაიჩოქა, ცრემლით თვალში
და შესწირა მადლი უფალს...

II

ვით არწივი მაღალ კლდეზე,
ცის მახლობლად ბუდეს აკრავს,
და იქ, მარტო, თავის შვილებს
გაფრთხილებით ზრდის და წაფავს,

—

მაღალ კოშკში დედოფალი
ისე ზრდიდა თავის ორ შვილს,
და არ ჰქონდა მოსვენება
შეშინებულს, ძილ-დაფრთხობილს...

—

ყმაწვილ არწივს ბახლობითვე
შეეტყობა მისი გვარი;
გამაგრდება დედის მკერდ-ქვეშ
და ესხმება ფრთები მძლავრი; —

—

იმ შვილებმაც ნორჩობიდან
ანუგეშეს დედის გული.
სილამაზე, შნო და ძალა
უხვად ჰქონდათ მიმადლული.

—

და თანდათან, დედის თვალ-წინ
იზრდებოდა ორი გმირი;
მათი ხილვით ტყვე დედოფალს
აღარ უჩნდა ჭირად ჭირი...

—

ხან ართობდა შვილებს ზღაპრით
მოუთხრობდა გმირის ამბავს,

# სიზმარი

**თავმდაბლად ვუძღვნი აკაკის**

ჩემს გარეშემო გამეფებული ღლიური ვარმით მოღლილს-მოქანცულს — მიმძინებოდა.

დასცხრა გონება უსამართლობით აბორგებული, მიყუჩდა გული გაწამებული, მოდუნდა ძარღვი და არსებამ ჩემმა სიზმართ სამეფოს გარდაინაცვლა.

ვნახე სიზმარი უცნაური: ფრთები შემესხმოდა და მაშინათვე მივატოვე ეს დედა-მიწა ცოდვით აღვსილი და ავფრინდი მაღლა, ჩემთა დიდებათ სამკვიდრებელს დავუახლოვდი. ჰაერი იყო წყნარი და ნელი. გარს მევლებოდნენ თეთრი ქულები და მათს ნაზს სრბოლას არ არღვევდა არც თუ ნიავი.

მივუახლოვდი რაღაც ყრილობას და თვალთ წარმომიდგა ესე სურათი: სამსჯავრო იყო. ერთ მხარეს იდგა რჩეულთა ჯგუფი, მორთული ტანად. მეორე მხარეს — ხალხი მრავალი, ქალი თუ კაცი, დიდი-პატარა... იმათგან ერთი მოხუცებული ქალამნიანი უფრო წინ იდგა. ორივე მხარე, ეტყობოდა, იყო ლოდინში და მდუმარებდა.

უცებ იგრგვინა, გაიკლაკნა სივრცეში ზოლი და გაიხსნა ზეცა. ღრუბელთ ტალღებმა შეჰკრეს კამარა და მის თაღის ქვეშ, ვითა ხატება, სხივ-მოფენილი მანდილოსანი ერს წინ წარუდგა. გარეშემო ერტყა ანგელოზთ გუნდი და გვერდში უდგა ნათელ-მოსილთა, ქალთა სამება.

მანდილოსანმა გადმოხედა იქ შეკრებილ ერს და გაარჩია წინ წამომდგარი მოხუცებული. თავ-შიშველასა, დაფლეთილ-ჩოხით მას ყავარჯენზე დაენდო ხელი და თვალები მისი, ნაღვლით აღსავსე, სიმწარის განცდას გამოხატავდა.

— აბა, მოხუცო, — მიჰმართა მას ღმობიერის ხმით, — როგორცა ვხედავ, აქ მომჩივარი შენ უნდა იყო და მაშ მომი-

ყევ, რაზედ დაგვჭირდა ჩემთან ჩივილი? ან ვინ ხარ შენა?

—დედა ღვთისაო!—გაუპყრო ხელი მოხუცმა კაცმა,—სადაც ვშობილვარ, ის ქვეყანა შენი ხვედრ-ა, სახელი მისი არის წალკოტი. და აი მოველ, შენ გაგანდო მისი ამბავი და ხალხის ბედი. შენ ხომ უწყი, რა ტურფა იყო, რა დიდებული, ჩემი ქვეყანა, მაგრამ დაჰბერა სასტიკ-გრიგალმა და ჩემს ქვეყანას, თუმც კიდევ ლამაზს, სულ სხვა ელ-ფერი დაედო ეხლა, ის აღარ არის. ის დიდებული ხალხი დაკნინდა. შესწყდა ტაძრებში ტკბილი გალობა ჩვენ-გასაგონი და მონასტრებში დაემკვიდრნენ უცხო მამები. ეს ხომ ასეა, მაგრამ უფროჲ სავალალო კიდევ ის არის, რომ მათი რიცხვის უმეტესი სულაც დაინგრა. რუსთველის ენა ოდნავღა ისმის. ჩვენი ავლა და ჩვენი დიდება უცხოზე მიდის. ჩვენ გერები ვართ ჩვენი ქვეყნისა, დედინაცვლისგან თითქო დევნილნი. ასე გასინჯე, წყალი რა არის, ლამის ისიც კი მოგვესპოს ჩვენა! მაგრამ შენც უწყი, ქალწულო დედავ, რომ მშიერ კაცსა უფრო ახსოვს თავისი თავი და ყველა ესე, დიდ-სავალალო, ჩაფერფლდა გულში და აღშფოთების, თავის დაცვის გრძნობასა ჩვენში – წინ აღუდგა სიშინელი სიმშილის ლანდი და ისა გვზარავს, მთლად ის გვერევა. სულ დაგვავიწყდა სხვა ყველაფერი, მას შემდეგ, რაც რომ ის ერთად-ერთი ჩვენი იმედი, ჩვენი მკვებავი მიწაც გვერთმევა!

აქ მოხუცებულს აუთრთოლდა მთელი სხეული, ყელში მოაწვა ნაღვლი ცრემლი და ჩაღრმავებულ იმის თვალთაგან ნაკადულებად მოსკდა ღაწვებზე.

შეიძრა ხალხიც იმ ცრემლების საპასუხოდ. ერთ ხმათ გაისმა საზარი გმინვა. მოხუცებულმა შემდეგ განაგრძო:

—სადღა წავიდეთ, სად გადავარდეთ ფეხ-ქვეშ ნიადაგ გამოცლილები! ბოგანოდ ვხდებით, უნდა ვიძრწოლოთ, ღმერთი არ არის და სამართალი? ჩვენი სისხლია იქ დანთხეული და ჩვენის ოფლით არის მორწყული! ესეც არ იყოს ჩვენ ხომ გვიყვარს ის ტკბილი ქვეყანა! ჩვენ ვერ გაუძლებთ მის მოშორებას და სადღაც სადმე გარდახვეწილნი, მის ხსენებაში დავლევთ ჩვენ სულსა! ღვთისა-მშობელო, ჩვენ ამას გვედრით, რომ აგვაცდინო ასეთი რისხვა!

შესდგა მოხუცი. ირგვლივ გამეფდა სიჩუმე მკვდარი. შევხედე მსაჯულს და დაფიქრებულ იმის თვალებში თითქო შევნიშნე [illegible] ცვარი.

ბოლოს შეკრთა ის და მიუბრუნდა თვის თანამხლებელთ.

—ქალნო წმიდანო, მოსამართლენო თქვენც ჩემთან ერთად! პირველად მესმის ესეთი ყოფა წალკოტი ქვეყნის და ნუ თუ არცა-რა იცოდით თქვენა? მე თქვენ წარგგზავნეთ ამა ქვეყნის ასაყვავებლად და დასაცველად, აქ კი რა მესმის? იქნებ ამიხსნათ როგორმე თქვენა!

წმიდათა კრება გაიყო სამად და ერთი მათგანი, კდემა-მოსილი, უმცროსი ყველას, მის წინ წარმოსდგა.

—წმიდაო დედა! მე აღვასრულე ნაკარნახევი ჩემდამი შენგან და დავამკვიდრე შენს წილად-ხდომილს ქვეყანაში ქრისტეს მოძღვრება. ამისათვის არ დამიზოგავს არც ჩემი თავი: გადამივლია ულრანი ტყენი, ჰქქა ქუხილსა, სეტყვა გრიგალში მტკიცედ მეჭირა ეს ვაზის ჯვარი და ვნათლავდი ერსა. მანც შეიყვარა ტკბილი ძე შენი და საუკუნეთა განმავლობაში მტერს არ უთმობდა, იცავდა მედგრად! ამაზე მეტი, უბიწოო, რაღა შემეძლო? და სხვა არც ვიცი..

წარსდგა მეორე, დალალ-დაყრილისათნო ხატება.

—მე კი, უძლურსა შენსა მონას, ტკბილ-საყვარელო, იმა ჯვარისა განსამტკიცებლად და დასაცველად მარტოოდენ, შემეძლო ერთი და აღვასრულე: ოჰ, რომ უწყოდე ის ტანჯვანი, რაც ავიტანე! მე ხომ მაწამეს, ღვთის-მშობელო და რაღა მეთხოვოს ამაზე მეტი!

—მეუფევ ჩემო,-ადგილიდანვე გაისმა ხმა იმა სულმნათი, გულ-წარმტაცი, ძლევა-მოსილი გვირგვინოსნისა, როს მომიხმე მე, შენს სასუფეველს დასამკვიდრებლად, იქ, იმა ქვეყნად, ბედნიერად დავსტოვე ერი. ჩემი ქვეყანა უცხოდ ჰყვაოდა. გუმბათად ედგა ლაჟვარდოვანი ცა-მოკაშკაშე და ძირს ეშალა ზურმუხტოვანი, ყვავილთა ნოხით გადაფენილი მინდორ-ველი. მას ამშვენებდენ მთანი მოსილნი დაბურულის ტყით და მათ კალთებზე მობიბინე ოქროს ყანები: აზვირთებული მდინარენი მოხმაურობდნენ, მოსჩხრიალებდნენ ნაკადულები, სჩქეფდნენ წყარონი. აღმართულიყვნენ ჯვარით-შემკული დიდი ტაძრები, სადაც ისმოდა სამშობლო ენის ტკბილი გალობა და მიუვალ მთებში გაფანტულიყვნენ უდაბნონი სავანე ბრძენთა, სად ეყრებოდა საძირკველი მეცნიერებას. შენობათ ამათ გარს- ეხვეოდა ფრინველთა გუნდი და გაისმოდა განუწყვეტელი ჭიკჭიკ-სტვენა, ღღე უდგა წყნარი. მოელვარე მზე უხვად აშლიდა თვის სხივთა კონას. სდუღდა სიცოცხლე და გადმოდიოდა ბარაქა ქვეყნის და მისი ერიც გალაღებული, მტკიცედ დამცველი რჯულისა და თავისუფლების, სტკბებოდა თვის შრომისა და წინაპართა დანთხეული სისხლის ნაყოფით. ეხლა რა მოხდა? ეგ მეც არ ვუწყი..მოხუცო! ვინ არის მტერი? ნუ თუ ვერ შესძელით ხმა აღიმაღლოთ, დაიცვათ თავი? დაეცით ეგრე?!

—ჩვენო დიდებავ!-სასო-წარკვეთით აუკიდა მოხუცმა ხმასა.

—ვისგან დავიცვათ ჩვენ ჩვენი თავი, უცხოსა თუ შინაურისგან?..

—შინაურისო?! ეს რაღა მესმის? ვინ შინაური წაგართმევს მიწას?

—შინაურები სწორედ, მეფეო, და მოხუცებულმა მოპირდაპირე რჩეულთა ჯგუფზე ხელი იშვირა.

ამა სიტყვებზე გვირგვინოსანს შეეკრა წარბი და მის სახეზე სიმწრის ღიმილმა გადაირბინა.

ნუ თუ თქვენა ხართ, კეთილ-შობილნო, შთამომავალნო „აღმაშენებლის“? მე არც მჯერა! აბა რას იტყვით?

—ეგ მართალია, დიდებულო! იქ ყრუდ გაისმა.

—მართალიაო! შეშფოთდა მეფე.

—დიახ, მართალი, მაგრამ გფიცავთ შენ, რომ იძულებითა! ჩვენც გაგვიჭირდა...

—გაგვიჭირდაო?! გაისმა გრგვინვა დიდებულისა, დახეთ რა მესმის „თავდადებულის“ მემკვიდრეთაგან! და განა იმათ, ვინც მის დაცვისთვის თავს არ ზოგავდა და მას სწირავდა საუკუნეთა განმავლობაში საცხოვრებელს, ცოლ-შვილს, სიცოცხლეს, მათ არ უჭირდათ? და ეხლა, როცა უფრო არის თქვენთვის საჭირო მისი შერჩენა, ეხლა რა მესმის! ვაძლევთ მას სხვასა, გაჭირვებითო! სირცხვილი თქვენდა! ნუ თუ სხვა გვარი საშუალება ვეღარ ილონეთ, რომ არც თქვენ დარჩეთ უნიადაგოთ, არც ეს დასტოვოთ? სად არის მოთმენა, სად არის მსხვერპლი, ნუ თუ გამქრალა თქვენში ეს ყველა?

ბრალდებულნი კი, თავ ჩაღუნულნი უსმენდნენ იმას და... მხოლოდ სდუმდნენ... სდუმდნენ მხოლოდ-ღა.

—რისთვის ვაშენე,—განაგრძობდა სასო-წარკვეთით, ცრემლ-მორეული გვირგვინოსანი,-ვაღორძინე ჩემი ქვეყანა? რისთვის მივუდექ მიუვალ მთებსა და მათ მწვერვალზე გადმოვსჭიმე ღვთისა ტაძარნი, თქვენი დიდება? ვაფართოვე და ვადიდე ქვეყნის საზღვრები? უარვყავ თავი და მას შევსწირე პირადი ჩემი ბედნიერება და განა მისთვის, რომ დღესა თუ ხვალ-ჩემი საუნჯე, ჩემი მშვენება, მიწიერი ჩემი სამოთხე-ეკუთვნოს სხვასა? რომელს არ ახსოვს ჩემი არა-რა, ვერც მომიგონოს ტკბილის ოცნებით, ვისთვის ფუჭი არს ჩემი ხსენება და თვით სახელიც! ოჰ, ოჰ, მოხუცო ჩემო! ნეტავ დახშოდათ ჩემთ თვალთ სინათლე, ყურთ დაჰკარგოდათ მახვილი სმენა და... არ კი მსმენოდა შენი ნათქვამი, შენს თვალზე ცრემლი არ დამენახა!

—კი, მაგრამ მე ხომ სამართალსა გთხოვთ, ჩვენ შველა გვინდა, მეცით იმედი!—ჰგოდებს მოხუცი.

და კვლავ ისმის ხმა შუბლ-სხივოსანი მანდილოსნისა:

—საბრალო კაცო, შენთვის იმედი დაკარგულია: მომავალი აქვს პირი ჩემსკენა, ითმინე კვლავაც და როს დადგება ჟამი შენი, შენს სულს დატანჯულს, განაწამებულს, მე დავამშვიდებ ჩემსა კალთებ ქვეშ აქ, ამ ზეცაში და მხსნელი კი შენი ქვეყნისა და მისი ბედის მაგრად მჭედავი მომავალისათვის, აი მანდ არის, თვით ხალხის გულში!

—და თქვენ-კი, აქ მიუბრუნდა ბრალდებულთ მხარეს,-მამულისათვის თავ-დადებულთ შთამომავალნო, კარგად დაჰფიქრდით, დაუხმეთ გულსა! „გაჭირებითო“,-მესმა თქვენიდან, მაგრამ იცოდეთ, გახსოვდეთ მტკიცედ, რომ დღეის ეგ პირი გიჯობთ ხვალისას: ის, რაც იხილა აქ, ამ მოხუცმა, თქვენცა მოგელით და მოვალეობა თუ აღარ გახსოვთ, თავის დაცვისთვის იზრუნეთ თქვენა. ნუ შეურაცჰყოფთ წინაპართ სახელს, ნუ მიიღებთ შთამომავლობის წყევას და კრულვას, ნუ იმსახურებთ იმათაგან ერთად ერთ სახელს-ქებულ წინაპართ ნაძირალისას!

გამომეღვიძა. გაჰქრა ჩვენება და და ვუბრუნდი მე სინამდვილეს.

სიზმარი იყო, მაგრამ მის შემდეგ ერთგვარი შვება მოეცა გულსა, ჩამესახა შიგ თუმც მკრთალი, მაგრამ მაინც იმედი მომავლისა.,. *)

**ნინო ყიფიანისა**

*) ეს ნაწარმოები, ნინოობის დღისათვის დაწერილი, ავტორმა წაიკითხა 14 იანვარს ქართულ თეატრში ქართველ ქალთა საზოგადოების-მიერ გამართულ სალიტერატურო სამხატვრო საღამოზე.

**რედ.**

## ახალი გასართობი ქართველ ყმაწვილებისათვის

თაქთაქიშვილის ასულმა თამარმა შეადგინა ქართველ ყმაწვილებისათვის ერთგვარი გასართობი სათამაშო, რომელსაც სახელად დაარქვა „ლიტერატურული ოთხი“.

ეს სათამაშო მეტად საინტერესოა და სასარგებლო, რადგანაც აცნობს მოთამაშეებს ქართველ მწერლებს და მათ ნაწარმოებს.

სათამაშო წარმოადგენს 40 კარტონის ნაჭერს, რომელზედაც დახატულია მწერლის სახე და მოხსენებულია **ოთხი** უმთავრესი მისი თხზულება.

თაქთაქიშვილის ქალს ჯერჯერობით აურჩევია ათი ქართველი მწერალი: ნიკ. ბარათაშვილი, აკაკი, ილია, ვაჟა-ფშაველა, ა. ყაზბეგი, ეგნ. ნინოშვილი, რაფ. ერისთავი, დ. კლდიაშვილი, ეკ. გაბაშვილისა და შ. არაგვისპირელი.

ეს სათამაშო უკვე მიცემულია დასასტამბად და ამ ერთ კვირაში გამოვა გასასყიდად. ღირება 50 კაპ.

ამის შემდეგ თაქთაქიშვილის ქალს სურს ამგვარივე ქართული „ოთხი“ შეადგინოს მცენარეებისაგან.

არ შეიძლება ამ განზრახვას სიხარულით არ მივეგებოთ მით უფრო, რომ ქართველ ყმაწვილებს ძალიან ცოტა სათამაშო და გასართობი აქვთ საზოგადოდ.

**თანამგრძნობი,**

## შეშლილის წერილი

[illegible]!

დამიხსენი ამ მაჯლაჯუნების ბრჭყალებიდან...

მომაშორე ხუნდები..

სუნთქვა მიძიმს;

ჰშიან:

—ხა, ხა, ხა!..

მწყურიან.

—ჰი, ჰი, ჰი!.

მცივა:

—ხო, ხო, ხო!..

სინათლე მსურს:

—ჰე, ჰე, ჰე!..

თავისუფლება... ვიღრჩობი, ბნელა!

—ხუ, ხუ, ხუ!..

მეც ადამიანი ვარ!

—ჰი—ჰი! ჰი—ჰი!!

მე გვირგვინოსანი უნდა შევიქნე და მფლობელი მთელი მსოფლიოსი:

—ჰი, ხო, ხე—ხე!..

რამდენიც გსურს დამახარხარე. შენი ჭირი-მე!

შენ იცოცხლე, მე მტლად დაგედვე.

—ჰააა, ჰა ჰა!..

რად დამცინი?

რა დაგიშავე?..

—ხოოო, ხო, ხო, ხო!..

რა რიგ მიყვარდი.., ჩემო მაყვალა, ჩემო შავ-თვალა.

—ჰი, ჰი! ხო, ხო!!.

გენაცვალე...

ეჰ! უბედური ვარ..

ჩემი ოთახის პატარა ფანჯარიდან დღეს მზის სხივმა შემოიხედა. ეზოში განთიადის მომღერალმაც შემოსძახა:

—ყიყლიყო!..

მეც აქა ვარ:

ჰიტააა!..

ისეთი მიხარიან, რომ...

დღეს ჩემ ზედა-მხედველს არ უცემივარ, მათრახი გასტეხია...

თავზე ხელი გადამისვა, გამიცინა და დამპირდა ჰაერში მფრინავ მანქანის ჩუქებას; მე გამოუტყდი, რომ მიყვარს აღმაფრენა, თავისუფალი ნავარდი, ბუნებასთან ბრძოლა, ბორიოსთან შეჯიბრება...

კარები გადამირაზა...

გამიწყრა... ტირილი დავიწყე, მაგრამ ცრემლები სულ დამილევია და უცრემლოდ ტირილს აბა რა შნო აქვს? მაშ გაუმარჯოს სიხიარულეს, სიცოცხლეს!

ხანდისხან ვიღაცა საშიშარი შეხედულობის კაცი, წითელის ხელებით და შავი ჩადრით შეპურვილი, წამომეპარება ხოლმე და ცელს მომიქნევს ..

მეშინიან, სიკვდილია!

უკაცრავად! მე მამაცი ვარ..

ჰა, ჰა, ჰა, ჰა!..

აი ეს რუკა მე დავხატე: აი, გზა რომლითაც მივალთ აღთქმის ქვეყანას. ხომ გახსოვს სიკვდილის ჟამს რა ანდერძი დამიტოვა დედამ?

მე უნდა დიდი მთები წამოვიკიდო და ზღვის უფსკრულში გადავისროლო.

—ხა, ხა, ხა, ხა!..

ეს შტოა იმ გზის, რომლითაც მიმდინარეობს კაცობრიობა.

შტო ცეცხლით ფენილი, რომელიც უნდა გადავლახოთ გამანადგურებელ ცეცხლის სულით შეჭურვილებმა.

[illegible]!

საუნჯევ გულის წმიდათა-წმინდის სალაროისავ.

ჩვენ ღამით გვიხდება სიარული... მე მაღლა ავსწევ ჩირაღდანს, ამის სინათლით გავიკვლევთ გზას სიბნელეში და განთიადისას, ალიონზე იქ ვიქნებით...

აი იმ უზარმაზარ გოლიათ, მთის იქით არის ჩვენი სამშობლო.

—ჰი, ჰი!

იქ არის ის ქვეყანა, რომლის ძებნაშიც..,

—ხო, ხო! ხი, ხი!..

შენ ხელთ ailed მწვანე ტოტი—სიმბოლო ფაქიზ გრძნობის და ნაკურთხი სიყვარულის ღმერთის-მიერ—და მომყევი ხელი-ხელ ჩაკიდებული; დეე, ურთიერთისადმი სიყვარულის გვიკარნახებდეს წინსვლის სურვილის გაძლიერებას... ჰხედავ აღმოსავლეთში როგორ ბრწყინვალებს შუქურა?!

მაშ წინ!..

—ხა, ხა, ხა, ხა!..

თავი მტკივა, მეძინება.. მართლა არ დაგავიწყდეს:

ხვალ საღამოს, ესე იგი, სამი ათას რვაას ოთხმოცდა ჩვიდმეტ წელს, აღდგომის ღამეს, ესე იგი მაისის თვეში... ჰმ! რიცხვი დამავიწყდა. ღამის მეცამეტე საათზე.. მეწვიე ქორწილში...

მე და ჩემი ლამპარი ვქორწინდებით და კალამი ნათლიად გვეყოლება მაგიდაზე დავსხდებით და ჰაერი მარიხისაკენ...

—ხა, ხა, ხა, ხა!...

**ს. ერთაწმინდელი,**

## საუბარი ჩვენში ერობის შემოღების თაობაზე

ამ თვეში შესრულდა 50 წელი, რაც რუსეთს მიენიჭა ერობა. გუბერნიებმა და მაზრებმა მიიღეს საერობო თვითმართველობა. ამის გამო მთელი რუსეთი ახლა დღესასწაულობს ერობის შემოღების დღეს. მხოლოდ ჩვენში თითქმის არავინ შეამჩნია ეს იუბილე, რადგანაც კავკასიას არ შეეხო ხსენებული რეფორმა. მხოლოდ თბილისის საზოგადო კლუბში, შაბათს, 18 იანვარს, წაკითხული იყო გ. თუმანიშვილისაგან რეფერატი, რომელშიაც გამოხატული იყო ის დიდი სარგებლობა, რომელიც მოუტანა რუსეთს ერობამ, და ის დიდი ზარალი, რომელიც მოსდის ჩვენს ქვეყანას ერობის შემოუღებლობის გამო. მოკლე ისტორიის შემდეგ ლექტორი შეეხო იმ მიზეზებს, რომელთაც დააბრკოლეს ამგვარი თვითმართველობის შემოღება ჩვენში.

რუსეთში ბატონ-ყმობის მოსპობის შემდეგ თავადაზნაურობა თხოულობდა თავისთვის მონაწილეობას სახელმწიფო საქმეებში. რადგან კონსტიტუციის მიცემა არა სურდა მთავრობას, მან შემოიღო ადგილობრივი თვითმართველობა—ერობა და ისიც, რაც მიანიჭა, ცოტ-ცოტა უკან წაიღო. 1890 წ ახალის წესდებით ერობა შევიწროებული იყო. რაც კი შეეხება განაპირებს, იმათზე ბიუროკრატია სრულებით არა ზრუნავდა. იქ სრულებითაც არ იყო შემოღებული ერობა. [illegible] თხუთმეტიოდ წლის წინად ერობა, მაგრამ პასუხი არ მიიღო. ძლიერ არც ცდილობდა ჩვენში არავინ, რომ ერობა შემოღებულიყო. ზოგიერთს ეშინოდა ახალი ხარჯისა, ზოგს მთავრობის წყრომისა და სხვ. 1905 წელს მეფისმოადგილემ გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა მოიწვია საზოგადოების წარმომადგენელნი,

როგორ ჰკლავდი იგი დევებს
და იხსნიდა მზეთუნახავს;

ხან უტკბობდა ყურთა სმენას
და ტკბილ ლექსებს უმღეროდა,
რომ იმათი ნორჩი გული
მწარე სევდას არ სჩვეოდა...

მაგრამ ნამდვილ თავის ამბავს,
წარსულს, სავსეს ისეთ ტანჯვით,
შვილებს დედა მოყვარული
უმალავდა შიშით, კრძალვით.

ის ჰფიქრობდა: „ადრე არის,
არ ავუხელ ჯერ თვალს შვილებს:
მძიმე უღლის გადატანა
შეუძლიათ განა ჩჩვილებს?

ნუ იგრძნობენ ბავშობითვე
ინებასა, სულის მჩაგვრელს,
და დაბურავს ბნელი ნისლი
მათ ცხოვრებას, ჯერ უდარდელს!..

და როდესაც ოცი წელი
შესრულდება, რაც პირველად
ჩვენ დაგვიპყრო ქაჯთა მეფემ
ამ ციხეში ჩასასმელად,

მაშინ ვეტყვი სუყველაფერს
ვაჟკაც შვილებს, გულით მაგრებს,
და ძლიერი ქაჯთა მეფე
ჩვენს დაჩაგვრას შეინანებს..

### III

ის ორი ძმა სიყრმიდანვე
ერთმანეთსა არა ჰგავდა,
და დღითი-დღე განსხვავება
მათში უფრო ცხადად ჩანდა.

უფროსს დაჰყვა ხასიათი
უდარდელი, მხიარული,
მწარე სევდას და მოწყენას
არ სჩვევია მისი გული;

[illegible] დედის ალერსი,
მცინარი, გულახდილი,
თვითონ იყო საალერსოდ
ის ბუნებით გაჩენილი...

და მის გვერდით სულ სხვაგვარი
მეორე ძმა იზრდებოდა;
რაღაც ფიქრი, დაფარული,
მის სახეს არ სცილდებოდა;

თითქო ეჭვი, საშინელი,
შეჰპარვოდა გულში ყმაწვილს,
მის ტუჩებზე იშვიათად
შენიშნავდა დედა ღიმილს...

და მშობელმა ის ორი ძმა
ერთმანეთს რომ შეადარა,
უნებურად მისი გული
უფროსისკენ გადიხარა:

მის ალერსში, დატანჯული,
აღარ გრძნობდა მწარე წარსულს,
მისი ხვევნით ნეტარება
მოიცავდა დედას ჩაგრულს;

და როდესაც შორს მიმავალს
იგი თვალ-წინ იხატავდა,
უნებურად მისი გული
მხსნელად უფროსს ისახავდა...

### IV

ოცმა წელმა გაიარა...
სულ იცდიდა დედოფალი,
და აღთქმულ დღეს მოელოდა
ის, მღელვარე, ფერ-შემკრთალი...

და ჰა, კიდეც მოახლოვდა
დღე, დიდიხნით დანიშნული!
აწ ეყოფა ტანჯულ დედას
ცრემლის ფრქვევა დამალული!

ის გარდუხსნის შვილებს თვალ-წინ
შეუმჩნეველს მათგან წყლულსა,
ეტყვის იმ დიდ საიდუმლოს,
დღემდის გულში ჩამარხულსა;

და შვილები მონის ბორკილს
დაამსხვრევენ მაშინ მძლავრად,
ორი გმირი გასცემს პასუხს
ძლიერ მტარვალს დედის ნაცვლად!..

### V

გულის ძგერით შვილების წინ
სდგას ამაყი დედოფალი;
მათი სიტყვით გადასწყდება
ამ დღეს მისი ბედ-იღბალი.

ორი ვაჟი, მზისა დარი,
მშობელს თვალში აცქერდება,—
რად შემკრთალა დედა ასე
და გულს ალი რად ედება?..

„დღეს, შვილებო, გეტყვით იმას,
რასაც დღემდის გიფარავდით,
და უეცრად თქვენი გული
ნუ შედრკება ჩემის ამბით...

„თქვენ გიკვირდათ, მარტოდ მარტო
ამ ციხეში ჩვენ რად ვზივართ,
და იქ, ტურფა ქვეყანაში,
სხვა კაცებთან არ გავდივართ?—

„მაშ იცოდეთ, რომ სხვებს წილად
არ რგებია ბედი ჩვენი:
ეს ციხეა—საპყრობილე,
და ტყვე არის დედა თქვენი!..

„ერთ დროს ვიყავ მე ძლიერი
და განთქმული დედოფალი;
ჩემ სამეფოს, უცხოდ შემკულს,
შეჰნატროდა ქვეყნის თვალი.

„თავისუფალს და ბედნიერს
ჯარი მყავდა მე მფარველი,
და სამეფოს ჩემსას მაშინ
ვერ სწვდებოდა მტრისა ხელი;

„მაგრამ ომში, როგორც გმირნი,
დაიხოცნენ ჩემი მცველნი,
და მას აქედ მწუხარალმა ბედმა
დააბნელა ჩემი დღენი.

„მე იმ დროდან ტყვეობაში
ვცხოვრობ, მტრისგან შეპყრობილი...
მე მონა ვარ ქაჯთა მეფის,
მონა, მისგან დამონებილი!..

„მან წამართვა მე დიდება
და სიმდიდრე დაუთვლელი,
ჩემ ქვეყანას, საყვარელსა,
მან შეახო ხარბი ხელი!

„მე თვითონ კი სამუდამოდ
აქ ჩამკეტა თქვენთან ერთად,
და გარშემო დარაჯები
დააყენა ციხის მცველად...

„აჰა, შვილნო საიდუმლო,
დღემდის თქვენგან დაფარული!
აწ გზა თვითონ გაიკვლიეთ,
როგორც გეტყვისთ თქვენი გული!..“

### VI

გაათავა დედამ სიტყვა,
პასუხს ელის შვილებისგან...
და პირველი უფროსი ძმა
გამოირკვა ფიქრებისგან..

„მძიმე ტვირთი, დედაჩემო,
წილადა გხვდა შენ, წამებულს!
მაგრამ ცრემლი მოიწმინდე,
ნულა იგლოვ მწარე წარსულს:

„მე შვილური ჩემი ვალი
ვიცი,—კიდეც შევასრულებ;
აწ ჩვენს ბედზე და იღბალზე
ჩემო დედა, მე ვიზრუნებ!

„მე დავტოვებ ახლა ამ კოშკს,
გავალ გარედ, დარაჯებთან,
და ვუბრძანებ კარის მცველებს
წამიყვანონ მათ მეფესთან.

„მტარვალია ქაჯთა მეფე
და არა აქვს სიბრალული,
მაგრამ, დედა, მაინც გავტეხ,
ქვაც რომ იყოს მისი გული!

„მე ავუწერ მას შენს ტანჯვას,
როგორ გვზარდე ოცი წელი
და ერთხელაც არ გვანახე
შენი სევდა, შენი ცრემლი.

„შევავედრებ თავს მხურვალედ,
ნუ გვაშორებს წუთი-სოფელს,
და საზარელ ტყვეობაში
სულს ნუ ახდენს ჩვენსა მშობელს;

„და როდესაც მე, ვაჟკაცსა,
დამინახავს მუხლ-მოდრეკილს,
ნუ თუ უარს ეტყვის იგი
დედისათვის მვედრელი შვილს?..

„მაშ ნუ იგლოვ წარსულს, დედა,
ახლო არის მომავალი,
შენ ამ დღიდან შეგეცვლება
ეგ ტანჯული ბედ-იღბალი!“...

### VII

გაათავა და იმ კოშკში
კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა...
მხოლოდ დედას, მოტყუებულს,
ორი ცრემლი გადმოვარდა...

მაგრამ კიდევ ერთი შვილი
ჯერ ხომ დარჩა ტყვე-დედოფალს!
ის რას ეტყვის?.. განა, ისიც
დაუჩოქებს, მხდალი, მტარვალს?..

„დედაჩემო, სინამდვილეს
დიდხანს გრძნობდა ჩემი გული,
და აკვნიდან შემეზარდა
მე ეს ფიქრი დაფარული.

„შენს ჩუმ ტანჯვას ვგრძნობდი წინად,
მაგრამ კითხვა ვერ გავბედე,
და შენს გულში ღრმად და კარგად
მხოლოდ ახლა ჩავიხედე;

„და დროც არის ახლა, დედა!
მე გავტეხავ ციხის კარებს!
მაგარია ჩემი მკლავი
და გაუძლებს ჩვენს დარაჯებს!

„მათ დავხოცავ და ვიშოვი
ბრძოლისათვის მე ბევრ ხმალსა,
და იქ იმ ხმლით ვეახლები
საპასუხოდ ჩვენს მტარვალსა!

„თუ უფალმა დამიფარა
და მე მომცა გამარჯვება,
მაშინ ძლიერ ქაჯთა მეფეს
შენი გმობა შენანდება!

„მაგრამ, დედა, მან თუ მძლია,
და გაგვიწყრა ისევ ბედი,
იმ დღისთვისაც ტკბილ-ნუგეშად
გულში გქონდეს ეს იმედი:

„როცა, მტრისგან დაძლეული,
მასთან ბრძოლას მე ვერ შევძლებ
შევაკვდები, როგორც გმირი,
და სიკვდილით გასახელებ!..“

### VIII

თითქო ქარმა მძლავრი ქროლვით
ცა გარდახსნა დაბურული,
და მზის სხივმა, მოთამაშემ,
გააბრწყინა მისი გული,

იმნაირად გამონათლდა
დედის სახე, მოწყენილი,—
და ამაყმა დედოფალმა
მკერდს მიიკრა გმირი შვილი.

„ჩემო მხსნელო, არ გაკავებ:
შეასრულე შენი ვალი—
ან გატეხე ბორკილები,
ან მტერს თავი შეაკალი!

„მე ამ წამმა დამავიწყა
ჩემი ტანჯვა უწინდელი!..
წადი, გმირო! და უფალმა
მოგიმართოს ომში ხელი!“

მერე უფროსს, იქავე მდგომს,
მწუხარე სახით გადახედა:
„ქალაჩუნა, განა ამას
მოელოდა შენგან დედა!

„შენ მონა ხარ! მტერთან ბრძოლას
გირჩევნია თავმდაბლობა,
და გსურს, მტარვალს გამოსტყუო
მუხლმოდრეკით შენ წყალობა!

„შენ, ვაჟკაცმა, სხვა პასუხი
ვერ უპოვე მშობლის მჩაგვრელს?..
ვაი ძუძუს, შენგან წოვილს,
ვაი დედას, შენსა გამზრდელს!..“

**ირ. წერეთელი,**

**ეს ნაწარმოები ეკუთვნის მეორე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატის ირაკლი (კაკი) წერეთლის კალამს. მან დასწერა ეს ყმაწვილობაში. დაბეჭდილი იყო „ჯეჯილის“ აპრილის ნომერში 1901 წ.**

**რედ.**

რომ გაერჩიათ, რა ერობა შემოღებული იყო ჩვენში.

მაგრამ იმ დროს აღელვების გამო არავის სცალოდა ამაზე ეზრუნა და ერობის საქმეც ვერ წავიდა წინ. 1909 წელს მეფისმოადგილემ ხელმეორედ მოიწოდა საზოგადოების წევრები საქმის გასარჩევად. პროექტები შესდგა კიდეც, მაგრამ ერობის მაგიერ 1912 წელს შემოღებული იყო კანონი, რომლის ძალით გუბერნატორები ჰპატიჟობენ ადგილობრივ მცხოვრებლებს საერო ხარჯის გასასინჯად და ამას გარდა, მეფისმოადგილეს საბჭოში ხმა ეძლევათ სამ წელში ერთხელ, საერო ხარჯის შედგენის დროს, გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლებს, თბილისის ქალაქის თავს და სამეურნეო საზოგადოების და ნავთის მწარმოებელთა საბჭოს თითო თითო წარმომადგენელს.

გ. თუმანიშვილის განმარტებით არაფერი დაბრკოლება არ სუფევს ერობის შემოსაღებად ჩვენში და ამიტომ, იმის აზრით, საკმარისია, რომ ადგილობრივმა საზოგადოებამ, ეროვნების, სარწმუნოების და შეძლების განურჩევლად, ერთხმად მოითხოვოს ეხლავე ერობა და ამ თხოვნას ზურგი მისცეს ადგილობრივმა ადმინისტრაციამ, რომ მთავრობა დასთანხმდეს და ჩვენს სოფლებს, მაზრებს და გუბერნიებს ერგოთ ისეთივე თვითმართველობა, რომელიც ამ ნახევარ საუკუნის წინად ერგო შიდა რუსეთს.

სახელმწიფო სათათბირომ ამ ორი წლის წინად შემოიღო ერობა სტავროპოლის, აშტრახნის და ორენბურგის გუბერნიებში და სურვილი გამოაცხადა იგივე კანონი შემოეღო კავკასიაშიაც. მაგრამ ამაოდ ჩაიარა ამ სურვილმა, რადგან არავინ ყური არ დაუგდო და საჭირო პროექტი არ წარმოადგინა.

ამ საგნის თაობაზე საუბარი კლუბმა გადასდო სხვა დროისათვის. სასურველია, რომ ჩვენმა მოღვაწეებმა უყურადღებოდ არ დასტოვონ საზოგადო კლუბში აღძრული ჩვენთვის ფრიად საჭირო საგანი და მონაწილეობა მიიღონ ამ საუბარში, რადა უკეთესად გამოაშკარავდეს, რა საშუალებით შესაძლოა დავაჩქაროთ ერობის შემოღება ჩვენში. დროა გავიღვიძოთ!

## ღმერთო მოგვასწარი!

(წერილი დუშეთიდან)

იმისთანა ექიმს ვნატრობ
[illegible]
არ თუ იმას—უშეცრებით
პირზედ პირი ზედ დამირთოს.

ადამიანს, ამ ქვეყნად თავის ყოფა-ცხოვრების ხანაში, როგორც ვიცით, ბევრი რამ აინტერესებს, ბევრი რამ უნდა, ბევრ რამეს შეძენისა და შესაკუთრებისათვის იბრძვის და ხარჯავს დაუზოგავად თავის გონებრივსა და ფიზიკურს ძალღონეს. მაგრამ, ადამიანს ამ ქვეყნად არაფერი ისე გატაცებით არ უყვარს, როგორც სიცოცხლე.

მთელი მსოფლიოს ნივთიერი სიმდიდრე: ოქრო და ვერცხლი, ძვირფასი თვალი და მარგალიტი, რომელიც ეგრე ანდამატივით იზიდავს ადამიანს, ცალ მხარეზე რომ მოათავსოთ და მეორე მხარეზე მხოლოდ რამოდენიმე დღის სიცოცხლე და სარჩევში შეიყვანოთ, ადამიანი უთუოდ სიცოცხლეს არჩევს—თვით უკიდურესი, ყველასაგან ათვალწუნებული, ღრმა მოხუცებულიც, რომელსაც არა თუ სიარულის და რისამე მოქმედების, ლოგინზე გადაბრუნ-გადმობრუნების ღონე აღარ შესწევს.

ესეთი მოხუციც-კი, თავის საიდუმლო ლოცვაში ღმერთს კიდევ იმას ევედრება, იმას სთხოვს გულმოდგინედ, რომ არ ამოჰხადოს მის მიერ შთაბერილი სული, და განაგრძოს კიდევ რამოდენიმე ხანი, თუ გინდ ასეტანჯულიც მისი სიცოცხლე დიაღ, ადამიანი გაჩენილა ამ ქვეყნიურ სამოთხეში თუ არა, იმ დღიდან ასეთის აზრისა და შეხედულების ყოფილა, არის და იქნება. ასეთი მისწრაფება დიაღ ბუნებრივი და კანონიერია. სიცოცხლეზე უკეთესი, უფრო საყვარელი, უფრო მშვენიერი, ამ ქვეყნად ადამიანისათვის არა გაჩენილაარა. იხილეთ სიცოცხლე ახდილი, და მასთან სიცოცხლით დაგვირგვინებული ადამიანი და რა ძვირფასია სიცოცხლე, თვით დაინახავთ, თვით მიხვდებით ამ სურათებით. დიაღ, რადა პაექრობა—რადა ბასი უნდა იმას, რომ სიცოცხლეზე უფრო ძვირფასი და სასურველი ამ ქვეყნად ადამიანისათვის არა არის-რა. და რომ ადამიანი ამ ქვეყნად თავის არსებობის ჟამს ყველაზე უფრო თავის სულიერ და ფიზიკურ სიცოცხლის გახანგრძლივებისა და შენარჩუნებისათვის უნდა ზრუნავდეს. მაგრამ სიცოცხლის მოტრფიალე კაცობრიობის სამწუხაროდ ეს ასე არ არის: პირიქით, ადამიანი ყველა თუ არა, უმეტესი რიცხვი მისი ხომ ძალიან მცირე ყურადღებას აქცევს, ძალიან მცირედ ზრუნავს თავის ჯანმრთელობის დაცვისა და შენარჩუნებისათვის; და ამის გამო, რაღა თქმა უნდა, მისი სიცოცხლის სიხანგრძლივეც მოკლდება; უდროოდ ესალმება თავის საყვარელ სიცოცხლეს. რომელ გამოჩენილს მთანგარიშეს შეუძლია აღრიცხოს ის ზედმიწევნით, თუ რაოდენი ადამიანი გამოჰსალმებია უდროოდ თავის სიცოცხლეს ერთი მხოლოდ იმის გამო, რომ მას არ სმენია, ანუ არ შეუსრულებია ჯანმთელობის დაცვისათვის აუცილებლად საჭირო ჰიგიენური კანონები და მოთხოვნილებანი?—იმოდენა მაინც რომ ესმოდეს თითოეულს ადამიანს, რომ თვითონ არ მოიშალოს ჯანმთელობა, არ შეიმოკლოს სიცოცხლე, რომელიმე ჯანმთელობის დამასუსტებელ—დამასნეულებელ საქციელის ჩადენით, მაშინ ხომ უდროოდ სიკვდილი ერთი ათასად შემცირდებოდა.

მაგრამ ვინ მოესწრება ამ დროს? ვინ იხილავს მთელს კაცობრიობას ამ ნაირად გათვითცნობიერებულს და მომზადებულს? ამისათვის საღი ჭკუა-გონიერება გვიკარნახებს, რომ კერძოდ თითოეული და ერთბამ მთელი ადამიანობა უნდა სცდილობდეს ყველას ახლო ჰყავდესთ სამედიცინო სწავლა-მეცნიერებით აღჭურვილი მკურნალები, რომ ჯანმთელ ადამიანებს აძლიონ საჭირო რჩევა-დარიგება, თუ როგორ მოუარონ, როგორ შეინარჩუნონ ხანგრძლივად თავიანთი სულიერი და ხორციელი კარგადმყოფობა,—და სნეულს, ჯანმრთელობა-მოშლილს თავის დროზედ მიაშველონ გამოსადეგი და განმკურნებელი წამალი. მაგრამ, ან ამას ვინ დაგიდევს ჩვენში? ვის ეინტერესება ამ ფრიად საყურადღებო საგანზე ზრუნვა. ამიტომაც უმეტესი ნაწილი ჩვენი ხალხისა, მცოდნე ექიმისა და გამოსადეგ წამლების უყოლობისა და უქონლობის გამო მოუმწიფებელი უდროოდ ესალმება თავის სიცოცხლესა, ვინ არ იცის, რომ უმეტესი ნაწილი ჩვენი ხალხისა, ავადმყოფობით გაჭირვების დროს ებმება უმეცარ ვერცხლის მოყვარე ექიმბაშების, და მაცდურ გაიძვერა მკითხავების ბადეში, რომელთაც მკურნალობისა სრულიად არა გაეგებათ რა, რომელნიც ავადმყოფებს, რასაკვირველია, ვერას რგებენ, ვერას შველიან და მათს ოჯახსა და ჭირისუფლებს კი პირიდან ლუკმას ართმევენ.

ყოველივე ამის გამო ჩვენის აზრით ქვეშის, ხვანჭკარის და ბაჯის საზოგადოებისაგან, დიდ ღვთის წყალობად მისამჩნევია ის ამბავი, რომ ს. ჭრებალოში მოვიდა და, როგორც სარწმუნო პირები გარდმოგვცემენ, განზრახვა აქვს სამუდამო ბინა გაიმართოს აქ საზღვარგარედ სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლა. დამთავრებული, მედიცინის დოქტორის ხარისხით დაჯილდოებული პირი ბ. შანშე ლეჟავა. ამ მკურნალის ჭრებალოში მოსვლა და დაბინავება იმის წინა-მორბედად მიაჩნიათ, რომ ზემოხსენებულ სამ საზოგადოებას და მათ გარშემო მცხოვრებ სოფლელებსაც უნდა შეუსრულდესთ მათი დიდის ხნის საწადელი ე. ი. ჭრებალოში უნდა დაარსდეს საავადმყოფოც. ღმერთმან ინებოს, რომ ეს ასეც მომხდარიყოს მოკლე დროში. ამ ამბის გამართლება სწორედ სანატრელია სამივე ყველა აქაურებისათვის ექიმი კი, სწორედ ისეთი მოგვევლინა, როგორსაც ვნატრობდით. ბ-ნი ლეჟავა, გარდა იმისა, რომ რაღა თქმა უნდა, შესწავლილი აქვს სამკურნალო ცოდნა და განვითარებულია საექიმო ხელობაში, მეტად გულკეთილი და ხალხის მოყვარული ადამიანია. მას სურს იცხოვროს განათლებით დაბალ საფეხურზე მდგომ ხალხში, და სამკურნალო სწავლა-განათლებით ემსახუროს. ეხლანდელ ვერცხლის თაყვანისმცემელ დროში, როდესაც ექიმის ერთი ნაბიჯის გადადგმაც ძვირად უჯდება ავადმყოფსა და მის ჭირისუფალთ, მკურნალი ლეჟავა სწორედ თითით საჩვენებელი, სამაგალითო გამონაკლისი პიროვნებაა. გასამრჯელოს ძალიან მცირეს ღებულობს და მასაც დიდის მორიდებით, დიდის მადლობით. ღარიბებს მუქთად შველის, მუქთად ექიმობს. კარგი და ცუდი ამინდი დღე და ღამე სულ ერთია მისთვის. როდესაც გაიწვევენ ავადმყოფის სანახავად, დაუზარებლად მიეშურება სნეულთან და გულმოდგინედ ასრულებს თავის მკურნალურს მოვალეობას. შ. ლეჟავამ, მოსვლისთანავე, დაიმსახურა ხალხის გულითადი სიყვარული, ნდობა და მადლობა. ყველა ღმერთს ემუდარება ეს გამოსადეგი ექიმი, ეს კეთილი კაცი დიდხანს დარჩეს ჩვენში. ჩვენს გულითადს სურვილსაც ამ საგანზედ ვუერთებთ ხალხის სურვილსა და ნატვრას.

**ქაიხოსრო გელოვანი.**

## ქართული თეატრი

**„უგვირგვინო მეფენი“, ა იმედაშვილის ბენეფისი**

ჩვენს ნიჭიერ პოეტს სანდრო შანშიაშვილს თავის პირველ დრამატიულ ნაწარმოებისათვის გიორგი სააკაძის ხანა აუღია. ეს ხანა დრამატურგს დაუშრეტელ მასალას აძლევს და თუ უკანასკნელი დახელოვნებულია, ნაწარმოები უსათუოდ საინტერესო იქნება. ბ. შანშიაშვილს ამ მასალით სრულიად ვერ უსარგებლნია და, რაც უფრო გასაკვირველია, თვით გიორგი სააკაძის პიროვნებისათვის ნაკლებად გაუწევია ანგარიში და ვიღაც შადიმან ბარათაშვილისათვის მოუნდომებია თავის კალამი. გარდა ამისა, თვით მეფე ლუარსაბის უხასიათობა იმდენად გადამეტებულია, რომ ბარათაშვილის გაიძვერობას სიმძლავრე და ფერი ეკარგება და რასაკვირველია, ამით დრამის ნასკვი უბრალოვდება. დაუსურათებელი დარჩენია ავტორს აგრეთვე „დიდებულთა წრე“, რომლის ვერაგულ ქსელში მუდამ გაბმული იყო მეფე ლუარსაბი.

არა გვგონია, რომ დიდი მოურავის წინაამდეგ ისეთი კაცუნები მოქმედებდენ, როგორც ბარათაშვილი და მთელი ის უსიტყვო და უთავო ბრბო რომელიც ავტორმა გვაჩვენა. გიორგი სააკაძის ბრწყინვალე ვარსკვლავის ჩასაქრობად უფრო ჭკვიანი და მედგარი პიროვნებანი იქნებოდენ, ვიდრე ეს ავტორს ჰგონია. წარმოუდგენელია, რომ გიორგი სააკაძემ ვერ გაუგო შადიმან ბარათაშვილს გულისნადები და დროზედ არ მოსპო იგი. ვიმეორებთ დიდი მოურავის პიროვნება ჩრდილში იყო გახვეული და მის ზურგს უკან კი ვერაგობის მაგიერ უბრალო ჭორიკანობა იყო გამართული. ყველა ზემოდ ჩამოთვლილი პიესის იდეური მხარის ნაკლს შეადგენს.

ასევე სუსტობს მხატვრული მხარეც. ის დრამატიული ნაწარმოები მკვდარია სამუდამოდ, რომლის წამოდგენის დროს მაყურებელმა საზოგადოებამ ერთ წამს მაინც მოიწყინა. ამ საღამოს კი პირველმა ოთხმა სურათმა ძალზე მოწყენით ჩაიარა. ამის მიზეზია, სხვათა შორის, ავტორის მიერ სცენის ტეხნიკის უცოდინარობა და აგრეთვე პატარ-პატარა უმოქმედო სურათები.

საზოგადოდ პიესის უმთავრესი ნაკლი დრამის ზანტი განვითარებაა და ინტრიგის ნაკლებობა [illegible]თვის, გარდა გარეგნული მხარისა, პიესაში სამუშაო არა არის რა. რაც უნდა დახელოვნებული რეჟისორი იყოს, პიესას ვერ გამოაცოცხლებს. სცენაზე თითქმის ყოველთვის ორი პირია და უმეტეს შემთხვევაში მათი ბაასი ან გამეორებაა ნათქვამისა, ან და რომელიმე ულაზათო ინტრიგის გაჩარხვაა.

ამ შემთხვევაში აბა რა უნდა ჰქნას რეჟისორმა? რაც შეეხება გარეგნულ მხარეს, იგი სათანადოდ მოწყობილი არ იყო, რადგან ჩვენს სცენას ჯერაც არა აქვს ჩვენი ისტორიული პიესებისათვის საჭირო დეკორაციები.

ა. იმედაშვილი ბარათაშვილის როლს ასრულებდა. ვერ ვიტყვით, რომ მან თამაშით დაგვაინტერესა; ტლანქია, საზოგადოდ, შადიმანი და იმედაშვილმაც მას ვერა მიუმატა რა.

ბ. ზარდალიშვილმა, ჩვენის ფიქრით, ბეჩაობა კიდევ მიუმატა ლუარსაბის როლს და საზიზღარი და მასთანაც საცოდავი პიროვნება დაგვიხატა. ბ. გუნიას გრიმი, ჩვენის აზრით, სრულიად არ შეეფერებოდა გიორგი სააკაძის სახეს. ლამაზი, გატკეცილი სახე გიორგი სააკაძეს არ ექნებოდა. მის სახეს უფრო ნაოჭები ახასიათებს. თამაშით ბ. გუნიამ შთაბეჭდილება მოახდინა. პატარა როლები მოთამაშეთა შორის კარგად იყო განაწილებული.

**გ. ახრახაძე.**

## ხმა დიდუბიდან

ამ ბოლო ხანებში ჩვენს დედა ქალაქს დიდი ზრდა ეტყობა. უკანასკნელ ცნობათა მიხედვით, ეხლა ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი 300,000 აღემატება. იზრდება ქალაქის უბნებიც. მაგალითად ამ რამდენიმე წლის წინად კაცს რომ დიდუბეში გაევლო, იქაურობას უსათუოდ სოფელს უფრო მიამგვანებდა. ეხლა კი დიდუბესაც ეტყობა დიდი ცვლილება. აი ეს დიდუბე, სწორედ ჩვენს ისტორიაში დიდი ასოებით აღბეჭდილი, სადაც გარდმოცემით იქორწინა თამარმა, დღეს საშინელ სურათს წარმოადგენს.

ამ ჟამად დიდუბეში ცხოვრობენ: რუსები (უმთავრესად მოლაკნები), გერმანელები და სომხები. მაგრამ ამ უბნის ფაქტიურ პატრონად უნდა ჩავთვალოთ რუსები (მოლაკნები). აქაური რუსები მოხელეები არიან; ქართველების უმეტესი ნაწილი კი მუშებისაგან შესდგება. სომხები უფრო ვაჭრობას მისდევენ. მოლაკნები და გერმანელები კი მთელ ტფილისში რძეს ასაღებენ.

დიდუბის ეკლესიის გასწვრივ არსებობს გერმანელთა ახალშენი, სადაც ნამდვილ თავისუფალ ცხოვრებას ეწევიან. მოლაკნებიც ჰბაძავენ გერმანელებს. გერმანელები, სადაც უნდა იყვენ, თავიანთ ეროვნებას მედგრად იცავენ. ერთმანეთთან არასოდეს რუსულად არ ლაპარაკობენ; ჩვენ კი ჩვენს ქვეყანაში ვერ დაგვიცავს ჩვენი ზნე-ჩვეულება. დიდუბეში ძლიერ დაჩაგრულნი არიან ქართველები. დღეს დიდუბეში ნამდვილ ქართულ საუბარს ვერსად გაიგონებთ: დიდუბის ტაძარი,—ის სიმშვენიერე, რომელიც ჰმოწმობს ჩვენი წარსულის სიდიადეს, დღეს აღარ წააგავს ნამდვილ ჩვენს სამლოცველო კერას. თუმცა ზარების ხმა კვლავ გაისმის, მაგრამ შიგ ვინ შედის? პირველ ხანებში აქ გამართული იყო ბრძოლა, რუსები ჩემულობდენ, ლოცვა რუსულ ენაზე უნდა იყოსო. ჩვენებიც მედგრად იბრძოდენ ეროვნულ ეკლესიისათვის, ბოლოს, როგორც იყო, მთავრობამ შეიწყნარა, რომ ლოცვა ყოფილიყო რუსულად და ქართულადაც.

მაგრამ რას ვგრძნობთ იქ, როცა შევდივართ. ირგვლივ გვესმის დაცინვა, რომელიც რწმენას გვაკარგვინებს. დიდუბეში, სადაც კვირაობით გამოდიოდნენ სასეირნოდ ქართველები, და ისმოდა ხოლმე ჩვენებური მომხიბლავი სიმღერა, ეხლა ჟამთა ვითარების გამო სულ სხვა სურათს შეხვდებით. დაინახავთ არაყით გათოშილ რუსის დედაკაცებს, რომელნიც ეკლესიაში დასცინიან ქართველებს. შეხვდებით ზნე-დაცემულ ახალგაზრდობას, რომელიც მთელ უქმე დღეს ქუჩა-ქუჩა ხეტიალსა და ლანძღვა-გინებაში ატარებს. ესენი ქართველობას არ ეკუთვნიან.

დიდუბის მოწყობისათვის ქალაქის გამგეობაც მაინცა და მაინც თავს არ იწუხებს. მცხოვრებლებს წყლისმილი დღესაც არა აქვთ გაყვანილი. საღამოს რომ გაიაროთ, წარმოიდგენთ, თითქო უწყლო სოფელში ხართ: ქალ-ვაჟნი, მკლავზე ორ-ორ ვედრო გაკიდებულნი, მიდიან წყალზე. ქუჩებიც უმეტეს ნაწილად უსუფთაოა. ქარის დროს მოუკირწყლავ ქუჩაში პირდაპირ თვალებში მტვერი გეყრება, ქუჩების მორწყვა, როგორც სხვა უბნებში, აქ არ არის [illegible].

სხვადასხვა დაწესებულება დიდუბის მხარეზე ბლომად მოიძებნება. მუშტაიდის ბაღში არის აგებული უზარმაზარი შენობა კავკასიის სააბრეშუმო სადგურისა. დიდი ხანი არ არის მას აქედ, რაც ააგეს ბაღშივე მუზეუმის შენობა. ამ დაწესებულებებშიც სხვანაირი პოლიტიკა ტრიალებს.

კავკასიის სააბრეშუმო სადგურს ჩვენი ქვეყნისთვის დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, მაგრამ შიგ სადგურში, როცა შეხვალთ, იმას ვერ იტყვით, რომ ეს დაწესებულება ხალხისათვის არის. მთელი მოსამსახურეთა შტატი რუსებისაგან შესდგება. ასე, რომ იქ ვინმე სოფლელი რომ შევიდეს, რაიმე საქმეზე, ის იმათ ვერაფერს გააგებინებს, და ისინი კიდევ სოფლელს. თვით თესლეულობის საწყობში უბრალო თარჯიმანიც არა ჰყავთ. ბევრჯერ იყო შემთხვევა, რომ სოფლელებს უნდოდათ სადგურიდან თესლის წაღება, შედიოდენ, მაგრამ გაუგებრობის გამო ვერ ყიდულობდენ, რომელიც მათთვის საჭირო იყო.

ამ სადგურის გვერდზე, ვოგზალში მიმავალი ტრამვაი რომ უხვევს, არსებობს სამეურნეო სკოლა. ამისთანა სახის სკოლები ჩვენში იშვიათია, თუმცა ჩვენი ხალხისათვის ასეთი სკოლები მეტად საჭირონი არიან. ინტელიგენცია უეჭველად უნდა ზრუნავდეს სოფლად ამგვარი სახის სკოლების გამრავლებას.

მუშტაიდის ბაღის შესავალთან, ტრამვაი რომ ჩერდება, არსებობს ერთი სასტუმრო, რომელსაც სახელად ეწოდება „პროგრესი“ და რომლის ალად „ცნობილი“ გორგიჯანოვი ითვლება. მგონია ამისთანა „დაწესებულებას“ უფრო შეჰშვენოდა „რეგრესის“ სახელწოდება, ისეთ გარყვნილების მორევს წარმოადგენს.

დიდუბეში არის ბაღებიც, მაგრამ აქ ბუნებრივი, მომხიბლავი არაფერია, ისიც ზნედაცემულთა მოედნად არის ქცეული.

ასე, რომ ეხლა დიდუბე ძველ დიდუბეს აღარ წარმოადგენს.

ცვალებადი ყოფილა, მართლაც, ყველაფერი! ნუ თუ არა გვეშველება-რა?!..

**ი. დიდიძე.**

რედაქტორ-გამომცემელი

**გრიგოლ დიასამიძე.**


1913 წლის 20 ნოემბრიდან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ გახსნა საკუთარი

**ახალი სტამბა**

— ქუთაისში —

სტამბა საუკეთესოთაა მოწყობილი და იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს ქალაქსა და პროვინციებიდან—ქართულ, რუსულ და სხვა ენებზე ზომიერ ფასებში.

დღეიდან ვოგზლის სამკურნალოში

(აფთიაქის გვერდზე, ვოგზლის ქუჩა, № 8)

მიიღებენ ავადმყოფებს 11 საათ. 3 საათამდე.

**ნათიევი**—ვენერიული და კანის ავადმყოფობანი.
**მინასოვი**—ქირურგი.
**პაპოვი**—ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი.
**ციციშვილი**—შინაგანი და ნერვებისა.
**ექ. ქალი იოსელიანი**—ქალური ავადმყოფობანი.
**სამხედრო ექ. კლდიაშვილი**—შინაგანი სნეულებანი.
**ვაშაკიძე**—შინაგანი სნეულებანი.

წამლობა „914“. ტელ. № 695.

ქალების სხვადასხვა მოდის ტანისამოსის სახელოსნო

„პ ა რ ი ზ ი“

თ. ნ. გულორდავასი,

ბბ. შაფერის და ბეკერის ყოფილი ოსტატისა,

გ ა დ ა ვ ი დ ა

სერგის ქუჩაზე. მირზოევის სახლში, № 1.



ხელოვნურად შეზავებული სამკურნალო და ხილეულობის წყალი

მიტროფანე ლაღიძე და ამ[ხ.]

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

გემო და სუნი საამური აქვს

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდი ოქროს და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად თბილისის გუბერნიის სამკურნალო მმართველობისაგან (№ 5792)

ქარხნები იმყოფება: თბილისში—გოლოვინის პროსპ. № 6, ტელეფ. № 411 ქუთაისში—პუშკინის ქუჩა № 5.

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

**ქსენიას ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრები და საერთო ოთახები. განსაკუთრებული სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებ[ენ] შემდეგი ექიმი-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ.. ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მაღალაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.<br>**ფიდოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.<br>ექ.-ქ. **ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ დღე გარდა კვირისა 1—2 |
| ქირურგიული სნეულებანი. | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ დღე $11^1/_2$—12—$^1/_2$).<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ქალთა და სამშ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12,<br>**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყოველ დღე, გარდა ოთხშ.) 1-$1^1/_2$ს<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.<br>**ფიდოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. და ელექ. | **ჯაგახიშვილი** ნ. ნ. სამშაბ. და შაბათ. 12—1<br>**ფონდოევი გ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყელ. ყურ. და ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—$1^1/_2$.<br>**ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $1^1/_2$—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კან. და ვენ. ვნ. | **დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) $11^1/_2$—$12^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. [...]ბული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. [ოპერა]ცია, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ 914 და **წამლის პუნება**, ელექტრონით წამლ., მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შე[ღავათია]ნი საფასურით.


ელექტრომბეჭდავი სტამბა „სორაპანი“. მადათოვის კუნძული. ტელეფონი 15-41